საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

წერილის ნომერი: **65-01241422681**
თარიღი: **21/05/2024**

ადრესატი: შპს პროფ სისტემი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404460837
მისამართი: ქ. თბილისი, ქიზიყის 19

შპს ,,პროფ სისტემის'' დირექტორს

გიორგი მურვანიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 13 მაისის # 10/01241341896-65 განცხადების პასუხად გიგზავნით ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა # 19 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.19.22.003.008) არსებული 2 ერთეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი შეფასების თაობაზე საექსპერტო დასკვნას ***(იხ. დანართი).***

ირინე დანელია

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

02-22/ 24
დასკვნის ნომერი

21.05.2024
დასკვნის მომზადების თარიღი

21.05.2024
დასკვნის გაცემის თარიღი

1 | საფუძველი | შპს პროფ სისტემის 2024 წლის 13 მაისის განცხადება # 10/01241341896-65

2 | განმცხადებელი/უფლებამოსილი პირი | შპს პროფ სისტემი

ს/ნ 404460837
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი

3 | საექსპერტო ობიექტის მისამართი | ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა # 19 | ს/კ >> | 01.19.22.003.008

4 | საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება / კვლევის მეთოდი

ობიექტი მდებარეობს ქიზიყის ქუჩაზე. ტერიტორია არის ვაკე რელიეფის. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დახასიათდა და აღიწერა ობიექტზე არსებული ორი მერქნიანი მცენარე.

5 | საექსპერტო ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (1,3 მ-ზე)	D (0,1 მ-ზე)	H	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	თელა Ulmus minor	ხე		24,5	4,0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას
2	თუთა Morus alba	ხე		3,0-5,0	2,0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას

6 | ინფორმაცია მცენარეებთან დაკავშირებულ მავნებელ დაავადებათა შესახებ

მცენარის #	სახეობა	მავნებლები და დაავადებები	რეკომენდაციები
...			
...			
...			
...			

7 | საექსპერტო ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა

საკვლევ ობიექტზე დამკვეთის მოთხოვნით იდენტიფიცირებული იქნა ორი ერთეული ხემცენარე. თელა - Ulmus minor (# 1), რომლის გადარგვა შესაძლებელია დიდტანოვანი ხეების გადარგვის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად და თუთა - Morus alba (# 2), რომლის გადარგვა შესაძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით არასავეგეტაციო პერიოდში.

8 | დანართი: კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა

კვლევის ამსახველი ფოტო - მასალა ჩაწერილია CD დისკზე
(4 ფოტოსურათი).

9 | საექსპერტო ჯგუფის წევრ(ებ)ი

ხელმოწერა

მარინე ხუნწარია

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
მცენარეთა კონსერვაციის განყოფილების
ეროვნული თესლის ბანკის
თესლის გაცვლითი ფონდის კურატორი

* შენიშვნა: ასაკის განსაზღვრა ხდება მხოლოდ საქართველოს წითელ ნუსხაში რიცხული მერქნიან მცენარეებზე.

ბოტანიკურის ქ. #1, 0105 თბილისი, საქართველო. ტელ.: (032) 2 72 43 06, ელ. ფოსტა: info@nbgg.ge; www.nbgg.ge
1 Botanikuri str, 0105 Tbilisi, Georgia. National Botanical garden of Georgia. Member of BGCI. Institution code: TBI

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საქსპერტო მომსახურების

მიღება - ჩაბარების აქტი

მხარეები - ერთი მხრივ, შპს ,,პროფ სისტემი'' წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მურვანიძის სახით (შემდგომში - დამკვეთი) და მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი'' (შემდგომში - შემსრულებელი) - წარმოდგენილი მცენარეთა ექსპერტიზის, შეფასებისა და გადარგვის ტექნიკური პირობების დამდგენი ჯგუფის კოორდინატორის მაკა ყოლბაიას სახით, მხარეთა შორის 2024 წლის 21 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტს შემდეგი პირობებით:

1. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, შემსრულებელმა განახორციელა ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა # 19 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.19.22.003.008) არსებული 2 ერთეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი შეფასება და დამკვეთს ჩააბარა შესაბამისი დასკვნა, ხოლო დამკვეთმა გადაიხადა ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება 70 ლარი.
2. აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად და მხარეების მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად.

3. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე აქტის გაფორმების მომენტისთვის ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

დამკვეთი

Giorgi Murvanidze
Digitally signed by Giorgi Murvanidze
Date: 2024.05.21

გიორგი მურვანიძე
შპს ,,პროფ სისტემის'' დირექტორი

შემსრულებელი

Maka Kolbaia 62006022716
Digitally signed by Maka Kolbaia
Date: 2024.05.21 15:34:25

მაკა ყოლბაია
მცენარეთა ექსპერტიზის, შეფასებისა და გადარგვის ტექნიკური პირობების დამდგენი ჯგუფის კოორდინატორი

მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები - ერთი მხრივ, შპს ,,პროფ სისტემი'', ს/ნ: 404460837, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა # 19 ა, საკონტაქტო ინფორმაცია: 551-11-43-13 - წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მურვანიძის სახით (შემდგომში - დამკვეთი) და

მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი'', საიდენტიფიკაციო კოდი: 404405960, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1, საკონტაქტო ინფორმაცია 2-72-43-06 - წარმოდგენელი დირექტორის ირინე დანელიას სახით (შემდგომში - შემსრულებელი), კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1
ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა # 19 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.19.22.003.008) არსებული 2 ერთეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი შეფასება.

მუხლი 2
ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 70 ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემდეგ რეკვიზიტებზე:

2.2.1 ბანკის კოდი TRESGE22;

2.2.2. სახაზინო კოდი: 741887499.

2.3ანგარიშსწორება სრულად უნდა განხორციელდეს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

მუხლი 3
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და და ძალაში შესვლის პირობები

3.1ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3.2ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

მუხლი 4
მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. **შემსრულებელს უფლება აქვს:**

4.1.1 მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სრული და ჯეროვანი შესრულება;

4.1.2 მოსთხოვოს დამკვეთს გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ყველა საჭირო პირობის შექმნა და ასევე, დოკუმენტის წარდგენა, რომელიც აუცილებელებელია სამუშაოების სრულყოფილად, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში შესასრულებლად;

4.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების ღირებულების სრული ანაზღაურება.

4.2 **შემსრულებელი ვალდებულია:**

4.2.1 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულების საგნის ხარისხობრივი შეფასებისათვის საჭირო სამუშაოები და შეადგინოს შესაბამისი დასკვნა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად;

4.3 **დამკვეთს უფლება აქვს:**

4.3.1 მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

4.3.2 ნებისმიერ დროს შეამოწმოს საექსპერტო ობიექტზე შემსრულებლის მიერ სამუშაოების მიმდინარეობა, სამუშაო პროცესისთვის ხელის შეშლის გარეშე.

4.4. **დამკვეთი ვალდებულია:**

4.4.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სრულად გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება;

4.4.2 უზრუნველყოს საექსპერტო ობიექტზე შემსრულებლის შეუფერხებელი დაშვება და მისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის სრულყოფილად მიწოდება.

მუხლი 5
მხარეთა გარანტიები და პასუხისმგებლობა

5.1 დამკვეთი იძლევა გარანტიას მის მიერ შემსრულებლისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტისა და ინფორმაციის სისწორეზე და სიზუსტეზე.

5.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას მის მიერ შედგენილი დასკვნის სისწორეზე და კანონდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე.

5.3 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ყველა ზიანი, რომელიც გამოწვეულია მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით.

მუხლი 6
ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

6. 1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება:

6.1.1 3.2 მუხლის პირობების შესაბამისად;

6.1.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

6.1.3 დამკვეთის მიერ ცალმხრივად, თუ შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მისი ბრალეულობით ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას;

6.1.4 ცალმხრივად შემსრულებლის მიერ, დამკეთის მიერ 4.1.2 ქვეპუნქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ აღნიშნულის გამო შემსრულებელს ხელი ეშლება შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

6.1.5 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 7
ფორს - მაჟორი

მხარ(ებ)ი სრულად თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ისეთი პირობების არსებობისას, რომელიც გამოწვეულია მათი ნებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული გარემოებები შეუძლებელს ხდის ან/და ართულებს მხარ(ებ)ის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 8
სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2 მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 9
ხელშეკრულების დამატებითი პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2 სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) ფურცლად, მხარეების მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად.

9.4 მხარეები აცხადებენ, რომ სრულად წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი, სრულად გაიგეს მისი შინაარსი და სრულად ეთანხმებიან მას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

დამკვეთი

Giorgi Digitally signed by Giorgi Murvanidze Date: 2024.05.21

გიორგი მურვანიძე
შპს ,,პროფ სისტემის'' დირექტორი

შემსრულებელი

Irine Danelia 01008012860 Digitally signed by Irine Danelia Date: 2024.05.21 12:21:01

ირინე დანელია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის'' დირექტორი









01.19.22.003.008

4395133.8

ექსპლიკაცია

- არსებული ბეტ.გზა
- საპროექტო ბეტ.გზა
- საპროექტო მიშენება
- არსებული შენობა

ლ.ა.ხ.
არსებული შენობა
01/1

საპროექტო მიშენება

ბეტ.

04/1

02/1
ლ.ა.ხ.

03/1
ლ.ა.ხ.

05/1

ასფ.

ბრ.

ხრ.

ნაყარი მიწა

ავზი

ბეტ.

ქვაბული

დანგრეული

ლ.ა.ხ.

ძველი ბეტონის გზა

ქალაქის ბეტონის გზა

ნაყარი მიწა

ნაგებობა

ასფალტი

ბეტ.

ბეტ.

ბეტ.